საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1179
2026 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2026 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. განისაზღვროს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2026 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის (დანართი №1).
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2026 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**

დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2026 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2026 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ქალაქი წალენჯიხა	1	
2	დაბა ლენტეხი	1	მაღალმთიანი დასახლება
3	ქალაქი ამბროლაური	1	მაღალმთიანი დასახლება
4	ქალაქი ონი	1	მაღალმთიანი დასახლება
5	დაბა ქედა	1	მაღალმთიანი დასახლება
6	ქალაქი ოზურგეთი	1	
7	ქალაქი ვანი	1	
8	დაბა ადიგენი	1	მაღალმთიანი დასახლება
9	დაბა ასპინძა	1	მაღალმთიანი დასახლება
10	ქალაქი წალკა	1	მაღალმთიანი დასახლება
11	ქალაქი თეთრიწყარო	1	მაღალმთიანი დასახლება
12	ქალაქი გარდაბანი	1	

13	სოფელი გამარჯვება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)	1	
14	ქალაქი დუშეთი	1	
15	დაბა თიანეთი	1	მაღალმთიანი დასახლება
16	ქალაქი ახმეტა	1	
17	სოფელი კაჭრეთი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი)	1	
18	ქალაქი სიღნაღი	1	
19	ქალაქი დედოფლისწყარო	1	